Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე

No1'08

ISSN 1512-3294

PEOPLE'S BANK
სახალხო ბანკი

კულტურის
მენარჩუნებისთვის

სიყვარულის



No1(9)'08

Arabesque

Ballet Magazine

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე



გარეკანზე:

პირველ გვერდზე: სცენა ბალეტიდან „ვარიაციები“

მეოთხე გვერდზე: სცენა ბალეტიდან „საგალობელი“

ლადო ვაჩნაძის ფოტოები.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
თეატრის საბალეტო დასის ჟურნალი

QUARTERLY MAGAZINE IN GEORGIAN ABOUT
THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI
OPERA AND BALLET STATE THEATRE

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINO ANANIASHVILI

რედაქტორი	Editor
ილია თავბერიძე	ILIA TAVBERIDZE
ტექნიკური რედაქტორი	Technical Editor
ქეთევან ნოზაძე	KETEVAN NOZADZE

ნომერში გამოყენებულია
ლადო ვაჩნაძის, ედუარდ გიგილაშვილის, ჯარჯი
ბალანჩივაძის საოჯახო არქივის, ბალეტის მსახიობთა
და ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის ფოტოები.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25,
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 99 93 64

UDC(უაკ)792.8
A-70

ISSN 1512-3294

© 2008 JB Design

www.ballet.ge

02 ნახვამდის, „მაკნატუნა“!

04 BALLET-NEWS

06 სტუმარი
ალექსანდრე რატმანსკი: „ბალეტს სჭირდება ახალი გენია“
ნინო მდივანი

08 ახალი სპექტაკლები
ვარიაციები
ილია თავბერიძე

10 ინტერვიუ პრემიერის წინ
იური პოსოხოვი:
„ნუ ელით ამ ბალეტში ქართულ მოძრაობებს“
შორენა პაქსაშვილი

11 ახალი სპექტაკლები
მშვენიერების საგალობელი
მერი გურგენიძე

15 სათაურებთან
რუზანა არუთინოვა:
„ჩვენ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გვქონდა“
ნინო მდივანი

16 BALLET-NEWS

18 ხსოვნა
მორის ბეჟარი

20 ბალანჩინი და საქართველო
გვარი, რომელიც საქართველოს სიმდიდრედ იქცა
მანანა ქილიფთარი

22 მცირე საბალეტო ენციკლოპედია

24 SUMMARY

შეცდომის გასწორება

„არაბესკის“ წინა ნომერში 31-ე გვერდზე დაბეჭდილ ინფორმაციაში დაშვებულია შეცდომა. გამოსაშვებ საღამოზე ბალეტ „პახიტას“ პა დე დეს შემსრულებელთა შორის თამარ ჯაშიაშვილის ნაცვლად უნდა ეწეროს ანა გორგიაშვილი. რედაქცია ბოდიშს უხდის ანას და მკითხველს უნებლიე შეცდომისათვის.

ნახვამდის, „მაკნატუნა"!

შობა-ახალი წლის დღეებში თეატრის აფიშაზე ათასობით მაყურებელი ელის პეტრე ჩაიკოვსკის ლეგენდარული ბალეტის „მაკნატუნას" გამოჩენას. წელსაც ასე მოხდა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა 7-ჯერ წარმოადგინა ეს ბალეტი. მაგრამ 10 იანვრის სპექტაკლს მაინც სხვა ხიბლი ჰქონდა. პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილს მარის პარტიაში ბოლო გამოსვლა ჰქონდა. „გადავწყიტე, დავემშვიდობო ჩემთვის მართლაც უსაყვარლეს მარის პარტიას „მაკნატუნაში". იგი საოცარ ემოციებთანაა დაკავშირებული და სულ მაგონებს ბავშვობის დღეებს", – განაცხადა სპექტაკლის წინ ნინო ანანიაშვილმა. პრიმა-ბალერინას პარტნიორობას საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ირაკლი ბახტაძე უწევდა. 2000 წლის თებერვალში, როცა ნინო ანანიაშვილმა ქართველი მაყურებლის წინაშე პირველად იცეკვა ამ ბალეტში, მაშინაც მისი პარტნიორი ირაკლი ბახტაძე გახლდათ. „ეს ჩემთვის დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. ქალბატონ ნინოს პარტნიორობა ნებისმიერი მოცეკვავისათვის დიდი პატივია", – თქვა ირაკლი ბახტაძემ.

„მაკნატუნას" იური გრიგოროვიჩისეული ვერსია ჩვენი თეატრის რეპერტუარში 1999 წლიდანაა. ამ სპექტაკლის საშობაო განწყობა, სოლიკო ვირსალაძის დეკორაციებისა და კოსტიუმების ფერადოვნება და საზეიმო განწყობა მაყურებელში დიდ ემოციებს აღძრავს.

ნინო ანანიაშვილმა ჩვეული ჰაეროვნებით, ბავშვური გულწრფელობითა და მომხიბვლელობით იცეკვა ბალეტში და ლამაზად დაამახსოვრა მაყურებელს თავისი ბოლო გამოსვლა „მაკნატუნაში".

ულამაზესმა ფეიერვერკებმა დაამშვენეს სცენა და დარბაზი.

მარი – ნინო ანანიაშვილი, მაკნატუნა-პრინცი – ირაკლი ბახტაძე



რეპეტიციაზე

საახალწლო გალა–კონცერტი

30 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა საახალწლო გალა-კონცერტზე მოიწვია მაყურებელი. თეატრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები, ბიზნესმენები და მეცენატები სცენაზე მიიწვიეს. როგორც თეატრის მმართველმა დავით საყვარელიძემ აღნიშნა, ეს ის ადამიანები არიან, რომელთა თანადგომით ხერხდება თეატრში ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო გალა-კონცერტის პროგრამა. არიები და დუეტები ოპერებიდან – „აიდა“, „ჯამბაზები“, „დონ პასკუალე“, „ტურანდოტი“, „ჰოფმანის ზღაპრები“, „დაისი“, „მინდია“ თეატრის სოლისტებმა თეიმურაზ გუგუშვილმა, გიორგი ონიანმა, სულხან გველესიანმა, ირინე რატიანმა, ნინო ჩაჩუამ, ელენე პუტილოვამ, გოჩა დათუსანმა, ზაალ ხელაიამ შეასრულეს.

საინტერესო ნომრები წარმოადგინა საბალეტო დასმა: ლომის ცეკვა (დავით ხოზაშვილი) და კოდა ბალეტიდან „სიზმრები იაპონიაზე“, ადაჟიო „ჩაკონადან“ (ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი), ესპანური ცეკვა „გედების ტბიდან“ (მაია ილურიძე, თამთა ჭელიძე, დავით ანანელი, ოთარ ხელაშვილი), მესამე წყვილის (შორენა ხაინდრავა, ლაშა ხოზაშვილი) ცეკვა და ფინალი „სიმფონიური ვესტერნიდან“, ვალსი და პა დე დე ბალეტიდან „მაკნატუნა“ (ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე).

თეატრის ორკესტრს დირიჟორობდნენ ზაზა აზმაიფარაშვილი, ზაზა კალმახელიძე, გოგი ჭიჭინაძე, გიორგი ჟორდანია.

საქველმოქმედო აქცია

საქველმოქმედო აქციაზე

შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა მორიგი საქველმოქმედო აქცია გამართა.

გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, ნინო ანანიაშვილის ინიციატივითა და კომპანია „კამელინის“ უდიდესი მხარდაჭერით, 4 დეკემბერს საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართა. წარმოდგენილი იქნა ა. ადანის ბალეტი „ჟიზელი“. კომპანია „კამელინის“ მიერ შემოწირული თანხით შიდსით ინფიცირებულ 24 ბავშვს საშობაო-საახალწლო ამანათები გადაეცათ. ამ აქციით კიდევ ერთხელ გამოიხატა საზოგადოების თანადგომა შიდსით ინფიცირებულ ადამიანთა მიმართ. ასეთი ტიპის აქცია უკვე მესამე წელია ტრადიციულად იმართება ნინო ანანიაშვილის თაოსნობითა და გლობალური ფონდის, შიდსის ცენტრის, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის, საერთაშორისო ახალგაზრდული ქსელის „იუვენკოს“ მხარდაჭერით. წლევანდელი აქციის გენერალური სპონსორი კომპანია „კამელინი“ იყო. სპექტაკლზე მოსულ მაყურებელს საჩუქრად დაურიგდათ ამ დღისადმი მიძღვნილი კალენდრები.

“РТР Культура”–ს გადამღები ჯგუფი თბილისში

იანვრის ბოლოს თბილისში გადაღებებს ატარებდა ტელეკომპანია “РТР Культура”-ს ჯგუფი. მალე ტელემაყურებელი ამ არხზე სამ ფილმს ნახავს. ერთი ნინო ანანიაშვილისა და საბალეტო დასის ცხოვრებაზე მოგითხრობთ; მეორეში ასახული იქნება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ისტორია და დღევანდელობა; მესამე ფილმი კი ლეგენდარული ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას მიეძღვნება. გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელის ნიკიტა ტიხონოვის აზრით, თბილისში ძალიან კარგი მასალები მოიძიეს, რაც მათ ფილმებს საინტერესოს გახდის.

ნინო ანანიაშვილი РТР КУЛЬТУРА-ს გადამღებ ჯგუფთან

მაისში ეშტონის ბალეტების პრემიერა გაიმართება

ნინო ანანიაშვილი
და გრანტ კოილე
„მარგარიტა
და არმანის“
რეპეტიციაზე

მაისში საბალეტო დასი კიდევ ერთ პრემიერას შესთავაზებს მაყურებელს. თეატრში ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიის საღამო მზადდება. სპექტაკლი სამ მოქმედებად იქნება წარმოდგენილი.

ლისტის საფორტეპიანო სონატაზე სპეციალურად მარგო ფონტეინისა და რუდოლფ ნურიევისათვის შექმნილი ბალეტი „მარგარიტა და არმანი“ (ა. დიუმა-შვილის რომანის – „ქალი კამელიებით“, მიხედვით) მხოლოდ ინგლისის სამეფო ბალეტის რეპერტუარშია. ბალეტის დადგმის უფლება Covent Garden-ის ხელმძღვანელობამ ნინო ანანიაშვილს მისცა. სწორედ პრიმა-ბალერინა იცეკვებს მარგარიტას პარტიას. რეპეტიციები იანვარში დაიწყო, რომელსაც ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოსული ბალეტმაისტერი გრანტ კოილე ატარებდა.

გარდა ამ ბალეტისა პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ეშტონის რამდენიმე პა დე დე მასნეს, შტრაუსის, დელიბის, ოფენბახის მუსიკაზე და ერთმოქმედებიანი ბალეტი “Birthday Offering” ა. გლაზუნოვის მუსიკაზე. ინგლისელი ბალეტმაისტერები დასთან მუშაობას მარტის თვიდან კვლავ განაახლებენ.

ჭაბუკიანის იუბილე ტრადიციულად აღინიშნა

საიუბილეო საღამოზე

27 თებერვალს, ცეკვის ჯადოქრის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთაწმინდის პანთეონში გასვლით დაიწყო. ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა ყვავილებით შეამკეს დიდი ხელოვანის საფლავი და პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას.

შემდეგ კი ქორეოგრაფიული სასწავლებლის პატარა თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც სასწავლებლის პედაგოგთა მიერ მომზადდა. პირველ განყოფილებაში აღსაზრდელებმა ვახტანგ ჭაბუკიანის განვლილი შემოქმედებითი ცხოვრება გაიხსენეს. ისაუბრეს ქართული ბალეტის ჩამოყალიბებასა და დიდი მაესტროს მიერ შექმნილ ბალეტებზე. საღამოს მეორე განყოფილებაში კი ბალეტის მომავალმა მსახიობებმა საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს.

დასი

ჟიზელი – ანა მურადელი, ალბერი – ვასილ ახმეტელი

4 დეკემბერს ანა მურადელს პირველი გამოსვლა ჰქონდა ა. ადანის ბალეტში „ჟიზელი“. მას პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა, რომელმაც ამ პარტიაში პირველად სულ ცოტა ხნის წინ იცეკვა. წინა დღეს კი „ჟიზელში“ ჰანსის პარტიაში პირველად გამოვიდა ირაკლი ბახტაძე.

21 და 23 დეკემბერს ნინო ოჩიაურმა პირველად იცეკვა ჰ. პაულის „კონსერვატორიაში“ (პა დე ტრუა) და ბოშა ქალი ა. მესაჟეს ბალეტში „ორი მტრედი“.

2 თებერვალს ვასილ ახმეტელს მორიგი დებიუტი ჰქონდა. იგი მამაკაცის სოლო პარტიას ცეკვავდა გლიუკის „ჩაკონაში“ (ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია).

5 თებერვალს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა პირველად შეასრულა სოლო პარტია გლიუკის „ჩაკონაში“. მას პარტნიორობას ვასილ ახმეტელი უწევდა.

6 თებერვალს სტრავინსკის “Duo Concertant”-ში (ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია) პირველი გამოსვლა ჰქონდათ მაია დოლიძესა და დავით ანანელს.

ალექსეი რატმანსკი:

ბალეტს სჭირდება ახალი გენია!

ნინო მდივანაძე

დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსეი რატმანსკი თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა ახალი ქორეოგრაფიული ნამუშევრის დასადგმელად. ასეთი მოწვევა მან პირადად ნინო ანანიაშვილისაგან მიიღო. მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა რამდენიმე, დღეს უკვე ცნობილ და აღიარებულ ბალეტს ითვლის. მათ შორის ორი – „სიზმრები იაპონიაზე“ და „ლეა“ თბილისის საბალეტო დასის რეპერტუარშია და მაყურებლისთვის კარგადაა ცნობილი. ჩვენი ინტერვიუ ალექსეი რატმანსკისთან ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ:

ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა დიდ თეატრში ჩემს მეუღლესთან ერთად ცეკვის დროს მნახა და მთხოვა, მისთვის რაიმე დამედგა. ეს იყო ნინოს პირველი „დაკვეთა“. ამიტომაც მისი ძალიან მადლიერი ვარ. ის მენდო და ეს რასაკვირველია, უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი, როგორც ქორეოგრაფის საქმიანობა. პირველი სპექტაკლი იყო „მანიერიზმის მშვენიერებანი“, მერე „სიზმრები იაპონიაზე“, „ლეა“. ამჯერად ვმუშაობთ „ქრომატიულ ვარიაციებზე“.

რამდენადაც ვიცი, ვარიაციები უსიუჟეტო ბალეტია.

მე ასე არ შევაფასებდი. როგორც ბალანჩინი ამბობდა, როცა ქალი და კაცი ცეკვავს, ეს უკვე სიუჟეტია. „ვარიაციებს“ (შესაძლოა ასე ვუწოდოთ ამ ბალეტს) სამი წყვილი ასრულებს. მუსიკა ჟორჟ ბიზეს ეკუთვნის, მისი საფორტეპიანო პიესის – „ქრომატიული ვარიაციების“, მიხედვით ვდგამ. საოცრად კმაყოფილი ვარ ქართული დასის მუშაობით. მათ წარმოაჩინეს თავიანთი პროფესიონალიზმი, მუსიკალურობა, მუშაობის სურვილი. რეპეტიციაზეც კი ისე ცეკვავენ, როგორც სცენაზე. ეს ქორეოგრაფს დიდად უმსუბუქებს მუშაობას. ყველაფერი სწრაფი ტემპით ვითარდება, ადვილი ხდება.

წინასწარ ცოტა რამ შემიძლია ვთქვა ამ ბალეტის შესახებ. ყველაფერი თანდათანობით ხდება. ჯერ ძიების პროცესში ვართ. როცა კონტურები გამოიკვეთება, მერე განვსაზღვრავთ ვინ იქნება კოსტიუმების მხატვარი.

თქვენ საშუალება გქონდათ, გენახათ დასის სპექტაკლი. როგორია თქვენი შეხედულება ქართულ საბალეტო დასზე?

ქართული ბალეტის რეპერტუარი დღესდღეობით ძალიან მრავალფეროვანია. რასაკვირველია, ეს დიდწილად ნინო ანანიაშვილის დამსახურებაა. მსახიობები, რომლებიც ცეკვავენ პეტიპას, ბალანჩინს... ვფიქ-

რობ, ყველაფერს შეძლებენ. მე მართლაც ვნახე შესანიშნავი, კეთილი ბალეტი „ორი მტრედი“. ის ამჟამად არსად იდგმება. ეს დიდი პრიორიტეტია თქვენი თეატრისათვის, ქართული დასისათვის. ვიტყოდი, რომ დასს აქვს საკუთარი სახე. დღეს ბევრი დასი ჰგავს ერთმანეთს და განსხვავებული სახის შექმნა აუცილებელია.

ნინო ანანიაშვილი არ შეუშინდა იმას, რომ თავისი ბრწყინვალე საერთაშორისო კარიერის შემდეგ დაბრუნებულიყო სამშობლოში და ყველაფერი თითქმის თავიდან დაეწყო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იყო წლები, როცა ქართული ბალეტის სამყაროში არ იყო მნიშვნელოვანი სიახლეები, თუმცა ძალიან საამაყოა, რომ ქართულ ბალეტს ჰყავს სახელოვანი ადამიანები და აქვს არაჩვეულებრივი ტრადიციები. ბედნიერებაა ის, რომ აქ მოღვაწეობდა ვახტანგ ჭაბუკიანი. ესაა საძირკველი, რომელზეც აიგება ნებისმიერი სასახლე.

რამდენიმე სიტყვით დიდი თეატრის შესახებ... რეპერტუარში, კლასიკის გვერდით, უკვე წარმოდგენილია თანამედროვე ქორეოგრაფების ბალეტები.

დიდი თეატრის რეპერტუარი, რასაკვირველია, მრავალფეროვანია. მოგეხსენებათ, ის კლასიკური თეატრია თავისი მნიშვნელობით. ამიტომაც აუცილებელია კლასიკური რეპერტუარი. გულსატკენია, რომ თითქმის ნადგურდება საბჭოთა რეპერტუარი. ვთვლი, რომ მასაც სჭირდება შენარჩუნება, რადგან ის ჩვენი მემკვიდრეობაა. ჩვენ გვინდა წარსულთან მიბრუნება.

რამდენადაც ვიცი, ახლა მუშაობთ ბალეტზე „პარიზის ალი“...

საერთოდ გრიგოროვიჩამდელი საბჭოთა ბალეტი ძალიან მაინტერესებს. „პარიზის ალი“ პროპაგანდისტული მნიშვნელობის ბალეტი იყო, რომელშიც გამოყენებულია არაჩვეულებრივი მუსიკა, ქორეოგრაფია. ესაა სიუჟეტი, რომელიც პერიოდულად აქტუალურია სხვადასხვა ქვეყანაში – რუსეთში, საფრანგეთში... თითქმის ყველა ქვეყანამ გამოიარა რევოლუციების პერიოდი. ეს უბერებელი თემაა. ადამიანთა ბედი ამ ისტორიული კატაკლიზმების ფონზე შეიძლება იყოს ძალიან თანამედროვე. აქცენტი სწორედ იმაზე კეთდება, როგორ უძლებს ადამიანი ამ ყველაფერს. გვინდა მეტი გრძნობა, მეტი ადამიანურობა შევძინოთ ბალეტს. ახალი ძალიან იშვიათად იბადება. ლოპუხოვი ამბობდა, რომ „თუ შენ ერთ ახალ მოძრაობას მაინც მოიფიქრებ, გენიოსი ხარ“. დიდი თეატრის ქორეოგრაფიულ სახელოსნოში კასიან გოლეიზოვსკის, მეოცე საუკუნის ბალეტის ნოვატორის, „სკრიაბინიანაზე“ ვმუშაობთ. ასეთი ნოვაციები ხელოვნებას ათი წლით წინ სწევდნენ.

რას იტყვით დიდი თეატრის საბალეტო დასის შესახებ.

ჩემთვის ძნელია დასის ქება, რადგან თავად იქ ვმოღვაწეობ. ბევრი კარგი სოლისტი გვყავს. ვინარჩუნებთ ტრადიციებს. ბევრს ვმოგზაურობთ – ლონდონი, პარიზი, ნიუ-იორკი, ტოკიო. ვფიქრობ, დიდი თეატრი კვლავ უბრუნდება იმ ლეგენდარულ სახელსა და დიდებას, რომელიც ჰქონდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან.

თქვენ ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ბალეტს სჭირდება ახალი გენია...

თანამედროვე ქორეოგრაფიაში ბევრი საინტერესო რამ ხდება. სამწუხაროდ, აღარ არსებობენ ისეთი ავტორიტეტული ქორეოგრაფები, როგორებიც იყვნენ ბალანჩინი, ეშტონი, რობინსი, გრემი... საჭიროა დადგმები. გამოჩნდება თუ არა ახალი ქორეოგრაფი, მაშინვე მსოფლიო ქორეოგრაფიის იმედად გამოაცხადებენ. შემდეგ კი გაისმის პრეტენზიები – რატომ არ გაამართლა? ეს დროის საქმეა. დრო ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. კლასიკური ბალეტისათვის ახლა არ არის იოლი დრო. ესტრადის მომძლავრებამ განაპირობა ის, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად ინტერესდება ბალეტით. ახლაც ვთვლი, რომ ბალეტს სჭირდება ახალი გენია.



კომიციები

ილია თავბერიძე

ალექსეი რატმანსკისთან მუშაობა დღეს ნებისმიერი საბალეტო დასისათვის სასიამოვნო ფაქტია. საინტერესო და ნიჭიერი ქორეოგრაფი ამ წლის ბოლოს უკვე ასრულებს დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში მუშაობას და აპირებს მთლიანად ქორეოგრაფიით იყოს დაკავებული.

თბილისში რატმანსკის ქორეოგრაფიას, შეიძლება ითქვას, კარგად იცნობენ. დასის რეპერტუარში რატმანსკის ორი ერთმოქმედებიანი ბალეტია – „სიზმრები იაპონიაზე“ და „ლეა“. თუ „სიზმრებში“ დრამატურგიული ქსოვილი იაპონური კაბუკის თეატრის პიესებზეა აგებული, ხოლო „ლეა“ ანსკის პიესის მიხედვით დაიდგა და გარკვეულ სიუჟეტს ატარებს, ახალ საბალეტო მინიატურაში განსხვავებულ მოდელთან გვაქვს საქმე.

ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი

რატმანსკის საკუთარ ქორეოგრაფიაში უყვარს მცირე ფორმები. ის თანამედროვე მინიატურისტია – „დაზუსტებული საცეკვაო და თეატრალური ფაქტურის სიყვარულით“ (ვ. გაევსკი). თანამედროვე ქორეოგრაფებს შორის რატმანსკი თითქმის ერთადერთია, რომელიც სუფთა ცეკვის სამყაროში მუშაობს, დგამს ბალეტს ბალეტზე, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ბალეტს მუსიკის შესახებ.

ნინო ოჩიაური, დავით ხოზაშვილი

მაია დოლიძე, ირაკლი ბახტაძე

„ვარიაციები“ 14 წუთი გრძელდება და იგი არ არის რაღაც სიუჟეტის შემცველი. მაგრამ თავად რატმანსკი ამ შეფასებას არ ეთანხმება და იხსენებს ბალანჩინს, რომლისთვისაც როცა სცენაზე ქალი და კაცი დგას, ეს უკვე არის სიუჟეტი. მარტო ამაში არ გამოიხატება მისი სიახლოვე ბალანჩინთან. პა დე სიზის მთელი ქორეოგრაფიული ტექსტი ბალანჩინის სამყაროსთან სიახლოვეს გაგრძნობინებს. აქ არ ვგულისხმობთ სტილის მსგავსებას, მოძრაობებისა და კომბინაციების ერთგვაროვნებას ან ვარიაციების ბალანჩინისეულ სირთულეს. ვსაუბრობთ მოდელზე. ეს არის მუსიკის ხედვა, მუსიკის გადმოტანა ცეკვის, პლასტიკის ენით.

დასაწყისში ექვსივე მოცეკვავე ცალ-ცალკე გამოდის სცენაზე და თითქოს წარადგენს საკუთარ თავს. განწყობა უკვე იქმნება – სოლისტები თითქოს გვამზადებენ, რომ აქ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ მათგან ველით საინტერესოს. მოლოდინი, რომ სცენაზე უნდა გამოჩნდეს კიდევ ერთი სოლისტი, აღარ არსებობს. არსებობს სხვა განცდა, სხვა მოლოდინი – როგორ ცეკვას შემოგვთავაზებენ ისინი.

ცეკვას მეორე წყვილი იწყებს – ნინო ოჩიაური და დავით ხოზაშვილი. მათ, ერთი შეხედვით ჰარმონიულ ცეკვას, შემდეგი ელეგანტური წყვილი აგრძელებს – მაია დოლიძე და ირაკლი ბახტაძე. გოგონები ყოველნაირად ცდილობენ გაექცნენ მამაკაცებს, ისინიც მისდევენ, ეწევიან, ისევ იპყრობენ... ასეთი თამამია მათი ცეკვა და ამ დროს შემოდის სცენაზე სოლისტი მამაკაცი – ვასილ ახმეტელი. მისი ვარიაცია ბალერინების დაინტერესებას იწვევს.

ერთმანეთის ძიება, ერთმანეთისაკენ ლტოლვა ამ საბალეტო მინიატურას თან დაჰყვება. მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დგება მაშინ, როცა სცენაზე თავის სოლო ვარიაციას დაიწყებს ნინო ანანიაშვილი. ამ მომენტიდან ქორეოგრაფი სამი წყვილის სინქრონულ, ჰარმონიულ ცეკვას გვთავაზობს.

ნინო ანანიაშვილის მკვეთრი და სწრაფი პა დე ბურეები, დახვეწილი ფორმები, მისი პლასტიური მკლავების გრაციოზული მიმოხვრა (რომელიც პრემიერის შემდეგ შეცვლილმა კოსტიუმმა უფრო კარგად წარმოაჩინა და სულ სხვა ეფექტი შესძინა), ჰაერში შესრულებული ფინალური ჟეტე ამ მოკლე ვარიაციას გარკვეულ დატვირთვას სძენს. ანანიაშვილი სცენაზე დიდი ხნით არ არის, მაგრამ შემოსვლის შემდეგ ქორეოგრაფიის მთავარი ღერძი ხდება, რომელზეც იგება სამი წყილის ყველა მოძრაობა. ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება. და თითქოს ამ უსიუჟეტო საბალეტო მინიატურაში იკითხება ერთი, თუნდაც ბანალური სიყვარულის ამბავი, რომელიც ალექსეი რატმანსკიმ ბიზეს ბრწყინვალე მუსიკაზე ააგო (მას შესანიშნავად ასრულებდა ფორტეპიანოსთან თამარ მაჭავარიანი).

ალექსეი რატმანსკი იმ თაობის ქორეოგრაფებს მიეკუთვნება, რომლებიც საბალეტო სამყაროში მოსვლის დღიდან დაეწაფნენ ბალანჩინის კლასიკურ მემკვიდრეობას. თავად ქორეოგრაფი, როგორც ცნობილია, ბრწყინვალედ ცეკვავდა მის ტარანტელას. ის ახლა სწორედ ბალანჩინის შემდგომი საბალეტო თეატრის ესთეტიკას ქმნის და მისი განვითარება იმ პრინციპებს მიყვება, რასაც თავის დროზე რუსეთში საფუძველი ჩაუყარეს ფოკინმა, ლოპუხოვმა, გოლეიზოვსკიმ, შემდეგ კი ბალანჩინმა განავითარა. ვფიქრობთ, „ვარიაციები“ ამის მცდელობაა, მაგრამ არა ერთადერთი და ყველაზე საუკეთესო მის ქორეოგრაფიაში.

იური პოსოხოვი:

ნუ ელით ამ ბალეტში ქართული მოძრაობებს!

შორენა პაქსაშვილი

სან-ფრანცისკოში მოღვაწე ცნობილმა ქორეოგრაფმა იური პოსოხოვმა ნინო ანანიაშვილისაგან რთული და ცოტა არ იყოს უჩვეულო წინადადება მიიღო. პრიმა-ბალერინამ ყოფილ პარტნიორს ქართულ მუსიკალურ მოტივებზე თანამედროვე ბალეტის შექმნა შესთავაზა. თავდაპირველად ქორეოგრაფმა თავი შეიკავა, მოგვიანებით დაფიქრდა და თანხმობა განაცხადა.

მრავალჟამიერი, ხორუმი, ქართული მელოდიები მუსიკალური ჯგუფის „ჩანგის“ შესრულებით, უსიუჟეტო ბალეტის განუმეორებელი მოძრაობები, პუანტებზე დადგმული ცეკვები განუმეორებელ სანახაობას ქმნის.

საქართველოში ჩამოსვლისას იური პოსოხოვი ყოველთვის მიდის ქვემო ბეთლემის ეკლესიაში; არ შეუძლია, სიღნაღის მონახულების გარეშე დატოვოს საქართველო. უყვარს სიონი. მოხიბლულია წმიდა სამების ახალი ტაძრით. ჰყავს ბევრი ქართველი მეგობარი. ყველაფერმა ამან ქორეოგრაფს იმპულსი მისცა და საკუთარი შთაბეჭდილებები სცენაზე ცეკვის ენით გადმოატანინა.

ჩვენი საუბარი ქორეოგრაფთან, პრემიერის წინ, გენერალური რეპეტიციის შემდეგ შედგა:

„ამ ბალეტის შექმნა დაკვეთა იყო. ადრე ვფიქრობდი, რომ დაკვეთებზე ბალეტს არ დავდგამდი. მაგრამ ჩემი კარიერა ისე აეწყო, რომ შევეჩვიე ბალეტების დადგმაზე წინადადებების მიღებას. როცა ნინომ ქართულ ხალხურ მუსიკაზე შემომთავაზა ბალეტის შექმნა, თავიდან გამოვრიცხე ასეთი შესაძლებლობა, რადგან თანამედროვე ბალეტის დადგმა ნაციონალურ მუსიკაზე რთული საქმეა. ბოლოს კი მაინც დავთანხმდი ამ სპეციფიკურ შემოთავაზებას. საქართველოში არაერთხელ ვარ ნამყოფი, მიცეკვია აქ, მყავს ბევრი მეგობარი და საოცრად მიყვარს ეს ქვეყანა. ვიფიქრე: რატომაც არა!

მუსიკა შემთხვევით ვიპოვე. ვიჯექი თბილისის ერთ-ერთ რესტორანში და ვუსმენდი ქართულ მელოდიებს ანსამბლ „ურმულის“ შესრულებით. მომეწონა, გავიგე, ვინ ასრულებდა და გადავწყვიტე, მასზე დამედგა.

პრემიერის შემდეგ. 2 თებერვალი, 2008

რედაქციისაგან:

2 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მორიგი პრემიერა გაიმართა. ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამით წარმოდგენილი იქნა იური პოსოხოვის ახალი თანამედროვე ბალეტი „საგალობელი“. ქართულ მელოდიებზე დადგმულმა ბალეტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გთავაზობთ თეატრმცოდნე მერი გურგენიძის წერილს. შესაძლოა მასში ზოგიერთი მოსაზრება საკამათო იყოს, მაგრამ რედაქცია ძირითადად იზიარებს ავტორის დასკვნებს. განსხვავებულ მოსაზრებებსაც სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მმკვენიერების საგალობელი

მერი გურგენიძე

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ დღეს ეს ანსამბლი არ უკრავს ბალეტის მუსიკას. მაგრამ ხალხური მუსიკის შესრულება შეუძლია სხვა კოლექტივსაც. შერჩეულ იქნა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები – ჯგუფი „ჩანგი“. გუშინ დავასრულეთ ბალეტი და ვფიქრობ, ცუდი არ გამოვიდა.

დადგმის პროცესი საკმაოდ რთული იყო. სხვაა, როცა დგამ სიუჟეტურ ბალეტს, არის დრამატურგიული მომენტები, პაუზები. აქ კი მხოლოდ მუსიკაა, რომელზეც უნდა დადგა მოძრაობები. რადგან ისინი ბევრია, ტვინი ცოტათი „ცურვას“ იწყებს – განმეორება არ შეიძლება, უნდა ეძებო გამოსავალი, სხვანაირად მოიფიქრო დიაგონალები. ისე ჩანს, რომ პროფესიული თვალსაზრისით ფანტაზიის ამოწურვის ზღვარზე ხარ.

მე ამ მოძრაობებს ვიზუალურად არ ვხედავ, ყოველთვის მაქვს იმპულსები. მე მხოლოდ მუსიკაზე ვდგამ. არსებობენ თანამედროვე, ნიჭიერი ქორეოგრაფები მსოფლიოში, რომლებიც მუსიკაზე არ დგამენ. მათთვის მუსიკა მხოლოდ ფონია, შეუძლიათ, ნებისმიერ მუსიკაზე დადგან.

ბალეტის დადგმას ვიდრე დავიწყებდი, კარგად გავეცანი საქართველოს ისტორიას. შეიძლება ითქვას, მის სიღრმეებშიც წავედი. უამრავი ქართული ტაძარი მოვინახულე. ყველგან შესანიშნავად გალობენ, რაც შთაგონების წყაროდ იქცა ჩემთვის. ძველი ტაძრები ძალიან მხიბლავს. ახალ ნაგებობებს სკეპტიკურად ვუყურებ, მაგრამ სამების ტაძარმა გამაოცა მისი სიდიადით. მიყვარს სიონი, ქაშვეთი... ჩემთვის მუსიკა ძირითადი საფუძველი იყო და იგი სწორედ იმ გრძნობებიდან გამოვიდა, რომელიც მე, რუს ადამიანს, გამიჩნდა. ასეთ გრძნობებსა და ემოციებზე დავდგი ეს ბალეტი.

მაყურებელი არ უნდა ელოდოს, რომ „საგალობელში“ იქნება ქართული მოძრაობები. ვერც ერთ ასეთ მოძრაობას აქ ვერ ნახავთ. ეს არის თანამედროვე, კლასიკური ბალეტი. საინტერესოდ ვიმუშავეთ მსახიობებთან. მართალია, დაიღალნენ, მაგრამ მგონი კმაყოფილნი დარჩნენ. მეც კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით. ჩემთვისაც ექსპერიმენტი იყო. ხალხურ, ნაციონალურ მუსიკაზე არასოდეს დამიდგამს. საერთოდაც, ნაკლებად იდგმება ასეთ მუსიკაზე. ესპანეთში რანდენიმე ქორეოგრაფს ჰქონდა ამის მცდელობა, მაგრამ იქ გოგონები პუანტებზე არ ცეკვავდნენ, რასაც ჩვენთან ნახავს მაყურებელი.

ერთი სიტყვით, თეატრში მაყურებელი ამ ბალეტის სანახავად, ვფიქრობ, უნდა მოვიდეს არა იმის შეგძრნებით, რა უნდათ, რომ ნახონ, არამედ უნდა ნახონ ის, რაც სცენაზე იქნება წარმოდგენილი.“

იყო ოდესღაც ალიონზე, თეთრ დუქანზე ატირებული ძველი არღანი. მეზურნეები, მუტრიბ-მომღერალთა გუნდი დილასთან ბრძოლით გათანგულნი.

იყო – კინტოს ტოტებში ჩასული მეწამული მზე – ქალდეას ბალაგანი. მტკვარზე ტივები, ტივზე ზურნები, დუდუკები და მადონები დეზერტირის ბაზრიდან მოსულები.

იყო – შაითან ბაზარი. სოღანლუღიდან თათრის ბიჭების მოდენილი ვირი ტვირთებით, მემწვანილე ცარიელი დროგებით. ქარავნების ზღვა და ქარვასლა ოქროს ვერძებით.

აქ, ამ თბილისში, დადიოდა ორბელიანი „ლოპიანას მუხამბაზის“ ეშხით დამთვრალი და აქ ტიროდა ალ. ჭავჭავაძე როგორც აშუღი.

აქ გაჰკიოდა გაბერილი ლოყებით კარო – „არუთინიან მქვიან, საიათნოვა ვარო“, აქ, ითხოვდა პასუხს თავის კითხვაზე წყალში მდგარი ცეცხლმოკიდებული იეთიმ გურჯი – „ვის მოვკითხო რუსთაველი მკვდარია?“

იყო თბილისი ქალაქი, რომელიც უყვარდათ როგორც ერეკლე, გამოწყობილი ვით ფაშა ეფენდი. ▶▶

თბილისი ასეთი ოდესღაც მართლაც იყო და დღეს, როდესაც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ქართულ ხალხურ მუსიკასა და იოსებ კეჭაყმაძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლაღიძის, გიორგი ცაბაძის, მერაბ მერაბიშვილის მელოდიებისაგან შემდგარ პარტიტურაზე იური პოსოხოვი ერთმოქმედებიან ბალეტს დგამს, ასოციაციური ნაკადით სწორედ ასეთ თბილისში ვინაცვლებ და შეცდომად არ ვუთვლი რუს ქორეოგრაფს ზურნა-დუდუკზე ქართული ჩიხტიკოპიანი ქალების ნაცვლად, ბალერინები აღმოსავლელი ხათუნების მსგავსად თუ მოძრაობენ და მამაკაცი მოცეკვავეების მოძრაობები საკმაოდ შორს თუ სცდება ქართველი კაცის რაინდულ სახეს.

„საგალობელი“ დავით და ლაშა ხოზაშვილების მიერ შესრულებული მინიატურით იწყება, რომელიც „მრავალჟამიერის“ მელოდიაზეა დადგმული.

ქართულ ცეკვასთან მიმსგავსებული ფეხის მოძრაობები, ქართველი ვაჟკაცისთვის მხრების შეხებით დამახასიათებელი მისალმება დასაწყისში რაინდობის ასახვის მცდელობად წარმოგვიდგება თითქოს. მაგრამ, მისი ქორეოგრაფიული ნახაზის განვითარება, მოძრაობათა თანმიმდევრობა, მოცეკვავეთა სცენიური გამომსახველობა და არტისტული ხერხები უფრო მრავალჭირვარამგადანახადი ქართველების სახებაზე ხაზგასმას გვაფიქრებინებს.

დავით და ლაშა ხოზაშვილების მიერ ბალეტის ქორეოგრაფიულ უვერტიურაში ოპტიმისტურ ქართულ აქტივობას აღმოსავლეთის სევდანარევი კაეშანი ცვლის და ქართველთა შეუპოვარი, ამბოხებული, ბედისწერასთან მებრძოლი სული თითქოს ბედთან თანაზიარ მამელუქთა სახე-ხატად გვევლინება.

იყო ქართველში ყოფით ტკბობა და ცხოვრებით თრობა. სწორედ ეს იყო მასში აღმოსავლური – თავდავიწყება და სხეულის პოეტურობა.

ამ პოეტურობის პოზირებად მოსჩანს ბალეტში ბალერინების თეძოთა აღმოსავლურად რხევა, რომელსაც ასოციაციური ნაკადით მაჰმადიანთა ურდოების წინაშე ქართველი ქალის მდგომარეობის მეტაფორისკენ მივყავართ. ზურნისა და დუდუკის მელოდიაზე პოსოხოვის ქორეოგრაფიაში სწორედ ეს მოტივებია გაცხადებული. მაგრამ, როცა „ჩანგი“ (მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც ცოცხლად ასრულებს ბალეტის მელოდიას) „ჩემო კარის მეზობელოს“ შესრულებას იწყებს, სცენაზე შემოიჭრება მასიური ცეკვა, რომელიც თითქოს ქართულ ბუნებასთან, მის ცეცხლოვან ხასიათთან თანაზიარი ხდება. ქორეოგრაფის მიერ ზუსტად იქნა დანახული ქართველის ერთი შეხედვით ზედაპირული ხალასი ბუნება, აღფრთოვანების უსაზღვროება, სილამაზისადმი უზადო ტრფიალი, უცხოს, როგორც მოყმის მიღების უდიდესი ჰუმანიზმი, რომლის სიღრმეებში ქართული ყოფის ტრაგიზმი დევს.

სწორედ ეს ტრაგიზმი დარჩა ჩრდილში რუსი ქორეოგრაფის ქორეოგრაფიაში და მხოლოდ მუსიკალური პარტიტურის სახით შემოიჭრა სცენაზე, რომლის პლასტიკური განსხეულებაც აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკით იქნა ჩანაცვლებული.

სწორედ ეს მსოფლიო სევდის შეგრძნება დაუპირისპირდა საქართველოში უტილიტარიზმს, როგორც გამოყენებით დამოკიდებულებას ხელოვნების ქმნილებისადმი და გარკვეული იდეის მქადაგებლის ნაცვლად, ნაწარმოები ესთეტიკური ტკბობის ობიექტად აღიქვა.

ასეთი ტკბობის ობიექტს წარმოადგენს საბალეტო სპექტაკლში შუქ-ჩრდილთა თამაშით მიღებული „მოსრიალე“, მონარნარე ცოცხალი სილუეტების ეფექტი (განათების მხატვარი ამირან ანანელი).

...სცენის სიღრმეს ერთმანეთთან შუალედური თანმიმდევრობით კვეთს ბალერინების ფიგურები. მათი სხეულების პლასტიკა და პოზების ფიქსაცია პოლ გოგენის ტაიდის კუნძულზე დახატული ქალების პლასტიკურ მონასმს მაგონებს. ეს სამყარო იმდენად ორგანულად ჯდება სპექტაკლის საერთო ქარგასა და ფორმაში, რომ ერთი შეხედვით ჩიხტიკოპიანი ქალის ნარნარს ემსგავსება დაირით ხელში, წინ წამოწეული მკერდითა და წელში გაზნექილი, უკან გატყორცნილი ქვედა სხეულით.

სპექტაკლის ამ მონაკვეთში, კორდებალეტის პირველ გამოსვლას წყვილთა ცეკვის ქორეოგრაფია ებმის, სადაც ულამაზესი პოზები, ქალისა და მამაკაცის ერთმანეთში გადაჭდობილი და შეზელილი სინთეზური მოძრაობები, მიწას ასხლეტილი უცნაური ნახტომები, ატიტუდებისა და არაბესკების მრავალფეროვანი მონაცვლეობა, ურთულესი ქორეოგრაფიული გადასვლები, ტექნიკურად რთული აწევები სცილდება აღმოსავლურ პლასტიკას და ქართული ბუნებისთვის დამახასიათებელ სურათს იძლევა.

პა დე სიზი (დასახელება პირობითია, რადგან იგი კლასიკური პა დე სიზისაგან დიდად განსხვავდება), რომელსაც სოლისტთა სამი წყვილი ასრულებს (ლალი კანდელაკი, დავით ხოზაშვილი, ანა მურადელი, ლაშა ხოზაშვილი, ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი) ამის დამაჯერებელი ილუსტრაციაა. ამ წყვილთა სინქრონული ცეკვა შემდეგ სამ ნაწილად გაიშლება ბალეტში. ერთი მათგანი – ლალი კანდელაკი, ვირტუოზულად ასრულებს სოლისტი ბალერინის ვარიაციას, რთული მოძრაობებითა და სწრაფი პირუეტებით; ანა მურადელი, აღმოსავლური სტილის სოლოს ულამაზესი მოძრაობებით შემოირხევა სცენაზე და კორდებალეტის მოცეკვავეებთან ერთად (ლანა მღებრიშვილი, გვანცა გავაშელიშვილი, მაია დოლიძე, ლიკა ლაბაძე) საკმაოდ ემოციურ და ჰაეროვან ცეკვას გვთავაზობს; ნინო გოგუასა და ვასილ ახმეტელის ადაჟიოს კი ცალკე აღებული საბალეტო მინიატურის სახე აქვს, სადაც კიდევ ერთხელ ტკბები ნინო გოგუას ულამაზესი პლასტიური შტრიხებითა და ვასილ ახმეტელის საშემსრულებლო მანერით.

ქართული ჰანგები, აღმოსავლეთის ემოციური ფონი და ატმოსფერო, პლასტიკა, ანა კალატოზიშვილის კოსტიუმები ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს პოსოხოვის საბალეტო სპექტაკლი პოსტმოდერნისტული ხელოვნების პრიზმაში განვიხილოთ.

პოსტმოდერნისტული კულტურის პარადიგმას ე.წ. ეთნოლირებულებები წარმოადგენს. ყოველ ეთნოსს გააჩნია განსაზღვრული, საუკუნეების მიერ ჩამოყალიბებული წარმოდგენები, ორიენტაცია და სუბიექტური ხედვა სამყაროსა და ადამიანების შესახებ, რომელიც საბოლოოდ ეთნოსის ნაციონალურ სახეს შეადგენს. ასეთია ჩვენთვის ხორუმის სახე-ხატი, ვაჟკაცობის და სტუმართ-მასპინძლობის ტრადიცია, ქართველი ქალის კდემამოსილება... მაგრამ, როგორც წესი, ეთნოკულტურა ყალიბდება სხვა ეთნოკულტურასთან მიმართებაში და მასთან ურთიერთობის ნიადაგზე (მაგ. აღმოსავლეთის ბაიათები, სპარსული და ირანული სიტყვის მნიშვნელობები, ბიზანტიური კულტურის გავლენა და ა.შ.). ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება თანამედროვე კულტურის, როგორც პლურალისტური სურათის, აღქმის საფუძველი გახდეს.

მოულოდნელი არ ყოფილა ბალეტში „ხორუმის“ მელოდიაზე შექმნილი ცეკვის ჩართვა. ეს საომარი, ძლიერი ქართული ცეკვა, შეიძლება ითქვას, ბალეტის ცენტრალური ნაწილია და იური პოსოხოვის მიერ დადგმულ ცეკვებს შორის გამორჩეულიც. რამდენად აცდებოდა ქორეოგრაფი ქართული ცეკვის ელემენტების გამოყენებას აქ? – ეს იყო ის საკითხი, რაც ყველაზე უფრო მაინტერესებდა. ეს ამოცანა მან, ვფიქრობ, წარმატებით გადაწყვიტა. ქორეოგრაფმა უცვლელად დატოვა ამ ცეკვის სულისკვეთება, შინაგანი სამყარო, რომელსაც მას მუსიკა კარნახობდა. ხოლო ქართული მოძრაობების გარეშე „ხორუმის“ ინტერპრეტაცია ბალეტის წარმატებას განაპირობებს კიდეც. უფრო მეტიც, ზოგჯერ ქართული ცეკვის ელემენტებთან მამაკაცი მოცეკვავეების შესრულების სიახლოვე ინერციის შედეგი მგონია და არც თუ ძალიან აუცილებელი ამ ბალეტისათვის.

ამ ერთობლივ ფასეულობათა აგება სუბიექტის (ამ შემთხვევაში პოსოხოვის) ასოციაციურ ნაკადსა და აზრთა უწესრიგო მოძრაობებზე ხდება, რომელიც ინტერპრეტაციის სახით გვევლინება. სწორედ სუბიექტის ინტერპრეტაცია ქორეოგრაფისათვის გასაგები ხდება მისი აღქმის წერტილიდან (ზურნა და დუდუკის ჰანგები). მაგრამ, ნაწარმოების აღქმა ხდება იმ აზრის მეშვეობითაც, რომელიც თავად პოსოხოვმა ჩადო მასში (აღმოსავლური მოძრაობები).

ამიტომ, ავტორი, როგორც დემიურგი-შემოქმედი, აღარ იკავებს გაბატონებულ ადგილს. ის, უბრალოდ გვთავაზობს იდეებს, სტერეოტიპებს, რომელიც თავისი არსით სიახლეს სულაც არ წარმოადგენს. უბრალოდ, კარგად დავიწყებულ ძველს ახალ პირობებში, ახლებურად წარმოაჩენს.

ზურნითა და დუდუკით განცდილი მშვენიერება დამდგმელ ქორეოგრაფს მშვენივრად გადმოაქვს სცენაზე და ქართული ცნობიერის ნაცვლად, ქართულ ცნობიერში დალექილ და განცდილ აღმოსავლურ სამყაროს აჩენს. არ მოვერიდები ამ თეზისის კიდევ ერთხელ განმეორებას. არ ვიცი რას ელოდა მაყურებელი, როცა საპრემიერო სპექტაკლის სანახავად მოდიოდა თეატრში. თუ ვინმე ფიქრობდა, რომ ეს ქართული ფოლკლორის გათანამედროვების მცდელობა იყო, იმედი გაუცრუვდებოდათ. „საგალობელი“ არის ერთგვარი დივერტისმენტი, რომელიც სხვადასხვა ნომრებისაგან შედგება. ქორეოგრაფს მიზნად არ დაუსახავს ქართულ ფოლკლორზე დაყრდნობით შეექმნა ქართული ბალეტი და ვფიქრობ, ჩვენთვის უფრო საამაყოა გხიბლავდეს და ბოლომდე ვერ წვდებოდე ქართულ ეთნოსს, ქართველთა არქეტიპს, რადგან არ მინდა წარსულის დიდება დამქონდეს როგორც მხოლოდ კვაზიმოდოს კუზი.

ეს არის თანამედროვე, კლასიკური ბალეტი, პუანტებზე შექმნილი ქორეოგრაფიული კონცეფცია, რომელიც იმით უფროა საინტერესო თუ როგორ გაიაზრა არაქართველმა ქორეოგრაფმა ქართული მელოდია. პოსოხოვი კი სწორედ ის ქორეოგრაფი გახლავთ, რომელიც მუსიკაზე დგამს და თითოეულ მოძრაობაში არ ეძებს დრამატურგიას. ზემოთ მოხმობილი თითოეული ასოციაციაც სწორედ ერთი პიროვნების, მაყურებლის სუბიექტური წარმოსახვაა და ეს წარმოსახვა იმდენი იქნება, რამდენი ადამიანიც ნახავს ამ ბალეტს, რამდენსაც არ მოეწონება და მოეწონება. იქნებ ამიტომაც შეიძლება მომწონს კიდეც, ჩვენი საგალობელი უცხო თვალისთვის მშვენიერების საგალობელი თუ არის, ხოლო მრავალჟამიერი – მოყვასის სიყვარულის ილუსტრირება.

ანა მურადელი

ნინო გოგუა, ვასილ ახმეტელი

ლალი კანდელაკი

რუზანა არუთინოვა:

„ჩვენ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება გვქონდა"

ნინო მდივანაძე

ქალბატონი რუზანა არუთინოვა ქართული ბალეტის ცოცხალი მატიანეა. შვიდი ათეული წელია იგი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობს, იყო ბალეტის მსახიობი, შემდეგ კი სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი:

„ცეკვა ბავშვობიდან მიყვარდა, განსაკუთრებით ვეთაყვანებოდი საბალეტო ხელოვნებას. 1933 წელს მიმაბარეს იტალიელი მარია პერინის სასწავლო სტუდიაში, რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარეობდა. ჩვენს სტუდიას ჰქონდა არაჩვეულებრივი დარბაზი. კარგად მახსოვს პერინის მიერ დადგმული „საათების ცეკვა" ბალეტიდან „ჯოკონდა". ოთხი გოგონა ვცეკვავდით დილას, ოთხი გოგონა – დღეს (მათ შორის იყო იანა იასინსკაია), ოთხი გოგონა – ღამეს (მათ შორის ანა წერეთელი და ირინე მეტრეველი). ჩემთვის ეს იყო პირველი სპექტაკლი. მერე გაიხსნა ქორეოგრაფიული სასწავლებელი, რომლის დირექტორი გახლდათ დავით ჯავრიშვილი. ჩვენ სწორედ იმ სასწავლებელში გადაგვიყვანეს და პედაგოგ მარინე კაზინეცის მონაფეები გავხდით. 1940 წელს სწავლის დასრულებისთანავე მივედი ოპერისა და ბალეტის თეატრში. მართალია, ყოველთვის კორდებალეტის მსახიობი ვიყავი, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, თეატრი თავდავიწყებამდე მყვარებოდა.

1941 წელს თბილისში ჩამოვიდა ვახტანგ ჭაბუკიანი. ის იყო არაჩვეულებრივი მოცეკვავე. მას მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში სთავაზობდნენ დარჩენას და სამსახურს, მაგრამ მაინც მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა. ბატონი ვახტანგი საოცარი სითბოთა და სიყვარულით ეპყრობოდა როგორც მსახიობებს, ასევე მაყურებელს. ომის დაწყებისთანავე გვიწევდა საკონცერტო ნომრებით სამხედრო ნაწილებში მოგზაურობა. მე და ვივი მეტრეველი ვასრულებდით ჭაბუკიანის მიერ დადგმულ „თოჯინების ცეკვას". გვქონდა საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება.

როცა ვახტანგ ჭაბუკიანი „გორდას" დგამდა, ერთ ეპიზოდში მხოლოდ ერთი მოცეკვავე იყო საჭირო. რეპეტიციებს მე, იანა იასინსკაია და ალა დვალი (ის იყო ვახტანგ გუნაშვილის მეწყვილე და მისი უცვლელი პარტნიორი ცეკვა „ქართულში") გავდიოდით. მაგრამ პრემიერის წინ ჭაბუკიანმა გადაწყვიტა, რომ სამივეს გვეცეკვა. საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა საოპერო და საბალეტო დასის წევრებს. ვცეკვავდი ყველა ოპერაში. დღემდე ჩემთვის განსაკუთრებულად საყვარელი ბალეტია „გედების ტბა".

ვერა წიგნაძემ ქორეოგრაფიული სასწავლებელი ბაქოში დაამთავრა. შემდეგ მას რეკომენდაცია გაუწიეს და ვახტანგ ჭაბუკიანის მოწვევით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩამოვიდა. ისინი არაჩვეულებრივი პარტნიორები გახდნენ, თითქმის ყველა ბალეტს ერთად ცეკვავდნენ.

მიხეილ ლავროვსკი არაჩვეულებრივი ადამიანია. მან თბილისში დადგა „რომეო და ჯულიეტას" საკუთარი ვერსიით. თავადაც ბრწყინვალე რომეო იყო. მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული დღემდე შემომრჩა.

ასეთივე სიყვარულით ვიხსენებ გიორგი ალექსიძეს. ის ძალიან ნიჭიერი ხელოვანია და არაჩვეულებრივ სპექტაკლებს დგამს. ხელმძღვანელობდა თბილისის საბალეტო დასს და როდესაც პეტერბურგში გადავიდა, გული დამწყდა.

ბედნიერი ვარ, რომ შრომა დამიფასდა, ვარ დამსახურებული არტისტი. ძალიან მიყვარს ჩვენი საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, რომლის ბავშვობისდროინდელი ფოტო, მისივე ავტოგრაფით, დღესაც ჩემს საწერ მაგიდას ამშვენებს. უზომოდ კმაყოფილი ვარ მისი გულისხმიერებით. ის ისე სათნოდ გვეპყრობა ასაკოვან მოცეკვავეებს, რომ მადლიერების გამოხატვა მიჭირს. მან კონსულტანტის სტატუსი მოგვანიჭა და ჩვენს საქმიანობას თეატრში გარკვეული ფუნქცია შესძინა".

სვეტლანა ლუნკინა
დავით მახათელი

გალა–ბალეტი ნიუ–იორკში

11 თებერვალს ნიუ იორკში საბალეტო სამყაროს მთავარი მოვლენა გაიმართა – გალა-ბალეტი „21-ე საუკუნის ვარსკვლავები“. უკვე მერვედ, სამ წელიწადში ერთხელ, ეს მოვლენა თებერვალში იმართება ნიუ-იორკში, მაისში – ტორონტოში და სექტემბერში – პარიზში. მაგრამ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ცერემონიაზე გადაეცემათ მოცეკვავეებს საბალეტო „ოსკარები“.

წლევანდელ ცერემონიაზე ლინკოლნ ცენტრში 9 საბალეტო კომპანიის 14 მსახიობი გამოვიდა. დანიელ სამკინი (ვენის ოპერის ბალეტი), დევიდ ჰოლბერგი (ABT), მირიამ ოულდ-ბრახამი (პარიზის ოპერის ბალეტი), დავით მახათელი (ინგლისის სამეფო ბალეტი) და სხვები. მოსკოვის დიდ თეატრს სვეტლანა ლუნკინა და ნიკა ცისკარიძე წარმოადგენდნენ. მათ პირველად შეასრულეს როლან პეტის მიერ მაია პლისეცკაიასათვის დადგმული დუეტის – „ვარდის სიკვდილი“ ახალი ვერსია, რომელიც ქორეოგრაფმა ორი თვის წინ სპეციალურად ლუნკინასათვის გადააკეთა. ერთად იცეკვეს დიდი თეატრის სოლისტმა სვეტლანა ლუნკინამ და ლონდონის სამეფო ბალეტის სოლისტმა დავით მახათელმა.

საღამოს აღმოჩენა გახდა ახალგაზრდა რუსი მოცეკვავე დანიელ სამკინი – ვენის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რომელმაც მუსორგსკის მუსიკაზე შეასრულა ავანგარდული და ცოტათი ხულიგნური ჩიტის ცეკვა.

დიდ თეატრში

დიდი თეატრის საბალეტო დასი მეორედ იქნა მიჩნეული საუკეთესო უცხოურ საბალეტო კომპანიად. ამის შესახებ გამოაცხადეს ინგლისელმა ბალეტის კრიტიკოსებმა. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2007 წელს დიდი თეატრის ლონდონში გასტროლების გათვალისწინებით. პრიზები გადაეცათ დიდი თეატრის პირველ სოლისტს ნატალია ოსიპოვას, როგორც საუკეთესო კლასიკურ მოცეკვავეს; ხოლო პრემიერი ივან ვასილიევი გახდა გამარჯვებული ნომინაციაში, რომელიც საბალეტო სამყაროში უტოლდება „ამომავალი ვარსკვლავის“ ნომინაციას.

20 თებერვალს დიდ თეატრში მორიგი პრემიერა გაიმართა. საბალეტო დასმა წარმოადგინა ბურნონვილის ქორეოგრაფიის მიხედვით შექმნილი ბალეტი „სილფიდა“. დასთან დანიიდან სპეციალურად მოწვეული ქორეოგრაფი იოჰან კობბორგი მუშაობდა. პრემიერაზე მთავარი პარტიები ნატალია ოსიპოვამ და ვიაჩესლავ ლოპატინმა იცეკვეს.



მარიას თეატრში

„დიდებული და ყველაზე ლეგენდარული დასი მსოფლიოში“, – ასე დაახასიათა ამერიკულმა კრიტიკამ მარიის თეატრის ბალეტი. ეს შეფასებები იანვარში ამერიკაში გამართულ გასტროლებს მოჰყვა, რომლის დროსაც მარიის თეატრის საუკეთესო მოცეკვავეებმა ამერიკაში, კენედის ცენტრის სცენაზე, წარმოადგინეს მ. პეტიპას შემოქმედების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნამუშევარი – „ბაიადერა“. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: დიანა ვიშნევა, იულიანა ლოპატკინა, ირმა ნიორაძე, ვიქტორია ტერიოშკინა, ანდრიან ფადეევი, ლეონიდ სარაფანოვი, ივან კოზლოვი და სხვები.

13 მარტს მარიას თეატრში მორიგი საბალეტო პრემიერაა. ქორეოგრაფი კირილ სიმონოვი ალექსანდრე ფონ ცემლინსკის მუსიკაზე დგამს ორმოქმედებიან ბალეტს „მინის გული“.

„ბაიადერა" ნოვოსიბირსკის თეატრში

დავით მონავარდისაშვილი „ბაიადერაზე" მუშაობისას

ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს ერთი წელია ხელმძღვანელობს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავი იგორ ზელენსკი.

მისი ხელმძღვანელობით თეატრმა გასული წლის დეკემბერში პირველი საბალეტო პრემიერა შესთავაზა მაყურებელს. დაიდგა ლ. მინკუსის „ბაიადერა" (მ. პეტიპას ქორეოგრაფია, ბ. პონომარიოვისა და ვ. ჭაბუკიანის რედაქცია. დადგმა ი. ზელენსკის).

იგორ ზელენსკიმ პეტიპას ამ ერთ-ერთი შესანიშნავი ბალეტის დასადგმელად ნოვოსიბირსკში ხელოვანთა შესანიშნავი გუნდი შეკრიბა: მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი ანდრეი დანილოვი, ცნობილი ქართველი სცენოგრაფი დავით მონავარდისაშვილი, მოდის ცნობილი კრიტიკოსი, კოსტიუმების მხატვარი ალექსანდრე ვასილიევი და განათების მხატვარი ვლადიმერ ლუკასევიჩი.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. სოლორის პარტია პრემიერაზე თავად იგორ ზელენსკიმ იცეკვა. როგორც მიმომხილველები და ბალეტის კრიტიკოსები წერენ ბალეტის ასეთ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მონუმენტურმა დეკორაციებმა: "В новосибирской "Баядерке" 2007 года тон в восприятии спектакля с первых минут, безусловно, задаёт щедрая живопись декораций Давида Монавардисашвили, где будто залитая солнцем охра величественных стен храма обрамлена зеленью тропического леса, изображенного с некой поэтической избыточностью перекликающейся, скажем так, с традициями сценографических опытов мирискусников." დავით მონავარდისაშვილი სამი თვის განმავლობაში თავად ხელმძღვანელობდა ნოვოსიბირსკში დეკორაციების დამზადების პროცესს და კმაყოფილია შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობით.

ოლეგ ვინოგრადოვი ხყსეთში დაბრუნდა

ამერიკასა და კორეაში თვრამეტწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ ცნობილი ქორეოგრაფი ოლეგ ვინოგრადოვი პეტერბურგის მიხაილოვის თეატრის მოწვევით სამშობლოში დაბრუნდა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ფარუხ რუზიმატოვის განცხადებით, პირველი სპექტაკლი, რომელსაც ვინოგრადოვი აქ დადგამს, იქნება „რომეო და ჯულიეტა". პრემიერა 2008 წლის ივნისში გაიმართება.

ალექსეი რატმანსკი NYC ბალეტმა მიიწვია

დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსეი რატმანსკი „ნიუ იორკ სითი ბალეს" სამხატვრო ხელმძღვანელმა პიტერ მარტინსმა დასის მუდმივ ქორეოგრაფად მიიწვია. რატმანსკის ჯერჯერობით საბოლოო თანხმობა არ განუცხადებია ამ შეთავაზებაზე, მაგრამ გადაწყვეტილად გამოაცხადა, რომ დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელობას კონტრაქტის დასრულების შემდეგ (2008 წლის ბოლო) აღარ აპირებს, თუმცა გეგმავს დიდ თეატრში დარჩეს, როგორც მიწვეული ქორეოგრაფი. „ნიუ იორკ თაიმსის" კორესპონდენტთან საუბარში რატმანსკიმ განაცხადა, რომ ასეთ გადაწყვეტილებას იმის გამო იღებს, რომ ქორეოგრაფიას მეტი ყურადღება დაუთმოს. NYC ბალეტის რეპერტუარში ამჟამად რატმანსკის ორი ნამუშევარია. ერთი წლის წინ მან ლეონიდ დესიატნიკოვის მუსიკაზე დადგა წარმატებული ბალეტი „რუსული სეზონი". ახლახან კი კიდევ ერთი ბალეტის პრემიერა გაიმართა. ქორეოგრაფმა სპეციალურად დიანა ვიშნევასათვის შონბერგის მუსიაკზე ახალი ბალეტი „მთვარის პიერო" დადგა.

დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტს 2009 წლის 1 იანვრიდან იური ბურლაკა დაიკავებს. 39 წლის ქორეოგრაფი-რესტავრატორი ძირითადად ძველი ბალეტების აღდგენითაა დაკავებული. გასულ წელს მან, ა. რატმანსკისთან ერთად, დიდ თეატრში დადგა „კორსარი". თეატრში შემოიღეს კიდევ ერთი ბალეტმაისტერის თანამდებობა, რომელზეც იური გრიგოროვიჩი დაინიშნა.



მორის ბეჟარი

22 ნოემბერს, 80 წლის ასაკში, შვეიცარიაში გარდაიცვალა მორის ბეჟარი.

ის ხანგრძლივად ავადმყოფობდა. შარშან ვერ შეძლო მოსკოვში საკუთარ დასთან ერთად ჩასვლა. ბეჟარი დიდი ქორეოგრაფის ფსევდონიმია, რომელიც მან დიდი ფრანგი დრამატურგის მოლიერის ცოლის საპატივცემულოდ დაირქვა.

მსოფლიო აღიარება მან საკუთარი დასის დაარსების შემდეგ მოიპოვა, როცა 1960 წელს ბრიუსელში ჩამოაყალიბა „მეოცე საუკუნის ბალეტი“.

„რაოდენ მოსაწყენია ცხოვრება, როცა არაფერს ვაკეთებ. თავს უბედურად ვგრძნობ. 80 წლამდე სწორედ ჩემმა საქმემ მომიყვანა. როგორც კი სტუდიაში შევაბიჯებ, ენერგიით ვივსები და ძალა მემატება“ – წერდა ბეჟარი, რომელმაც ამ სტუდიაში შედევრები შექმნა.

30-იანი წლების ბოლოს, ქალაქ მარსელის საბალეტო სკოლის დაწყებით კლასში მასწავლებელმა გაკვეთილზე შემოიყვანა ახალი მოსწავლე, ბავშვებს გააცნო და შემდეგ ერთ მოსწავლეს მიმართა:

– მორის, გადმოდგი ერთი ნაბიჯი წინ!

მორისი გამოვიდა და მასწავლებელმა პირველი დარიგება მისცა ახალმოსულ მოსწავლეს:

– დაიმახსოვრე, ისე როგორც მორისი ცეკვავს, ცეკვა არ შეიძლება!

გავიდა დრო და მორისმა ყველას დაუმტკიცა, რომ სიტყვა „არ შეიძლება“ ბალეტში არ არსებობს და ისტორიაში შევიდა როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბალეტმაისტერი და მასწავლებელი.

ჩვეულებრივ ახალგაზრდა მოცეკვავეებს ჯერ მხოლოდ ესმით, რომ არსებობს დიდი ქორეოგრაფი მორის ბეჟარი, შემდეგ ნახულობენ მისი ბალეტების ჩანაწერებს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ბალეტომანების ერთი ნაწილი კეთილად მოიხსენიებდნენ მას, მეორენი კი – არ ეთანხმებოდნენ მის თამამ გადაწყვეტილებებს ქორეოგრაფიაში. მაშინ მე და ჩემი მეგობრები მივხვდით, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, რომ მისი ბალეტების ნახვის შემთხვევაში შეიცვლებოდა ჩვენი წარმოდგენა ბალეტზე. ბავშვურმა გულუბრყვილობამ და მეამბოხე ბუნებამაც არ დააყოვნა და მალე ბეჟარის „ფანები“ გავხვდით. მაშინ ვიდეოჩანაწერები არ არსებობდა, მაგრამ ნაცნობობით რაღაც მოვახერხეთ. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა... “ADAGIETTO”, “BOLERO”... ისე, ბოლეროსი მაშინ ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც ვამბობდით, რომ ძალიან „მაგარია“. მართალი გითხრათ, „ბოლეროზე“ დღემდე თითქმის იგივე აზრის ვარ, მაგრამ „ბოლერო“ მაგარია, მოგვწონს თუ არა ის.

ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარია დიდ მაესტროსთან შეხვედრა. რამდენიმე დღით ვეწვიე მის დასს და შესაძლებლობა მქონდა, მესაუბრა მასთან.

ერთხელ მისი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეატრიდან გამოსულ ბეჟარს მაყურებელთა უზარმაზარი ტალღა მიეგება. ამ ხმაურში მან გამოარჩია ერთი ქალის ხმა, რომელიც გაჰყვიროდა:

– ის ჩემი მოსწავლეა! ის ჩემი მოსწავლეა!

ბეჟარი მიბრუნდა და დაინახა სწორედ ის მასწავლებელი, რომელმაც ბავშვობისას კლასში უთხრა: „ისე, როგორც ის ცეკვავს, ცეკვა არ შეიძლება“.

მშვიდობით მაესტრო! მადლიერებით, თაყვანისცემით გაგიხსენებთ.

ირაკლი შენგელია

ციურიხის საბალეტო სკოლაში სწავლის დროს რამდენჯერმე მომიხდა ქალაქ ლოზანაში ჩასვლა. ამ შემთხვევით ვისარგებლე და ბეჟარის სკოლას ვეწვიე. როდესაც ბეჟარმა ლოზანაში თავისი დასი შექმნა, მიხვდა, რომ ბევრი თანამოაზრე დასჭირდებოდა და ცეკვის სკოლა დააარსა აღმოსავლური სახელწოდებით „რუდრა“. იგი ხომ აღმოსავლური კულტურითა და ფილოსოფიით ძალიან გატაცებული იყო.

სკოლაში რომ შედგამ ფეხს, ერთ დიდ ოჯახში მოხვდები, სადაც ყველა ერთი იდეითაა გაერთიანებული. სკოლა საშუალებას იძლევა, თითოეულმა მოსწავლემ მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობა. მომავალი მოცეკვავეები ყოველდღიურად საკუთარი თავის ძიებაში არიან.

ბეჟარის დასში მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო მოცეკვავეები ხვდებოდნენ. ლოზანის დასთან ბეჟარმა ექსპერიმენტული სპექტაკლების დადგმა დაიწყო. მან ცეკვა, სიტყვა, მუსიკა, პანტომიმა ერთ სანახაობად გააერთიანა. ამას უაღრესად საინტერესოდ ახერხებდა და იმდენად არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნიდა, რომ ყველა გემოვნების მაყურებლისათვის სასიამოვნო სანახავი იყო.

ჩემთვის ბეჟარი იმით არის საინტერესო, რომ მის ყოველ ქორეოგრაფიულ ნაწარმოებში ვხედავ ჩანაფიქრს, იდეას, ფილოსოფიას, გარკვეულ აზრს. მისი ქორეოგრაფიული ტექსტი არ მიყვება რომელიმე საცეკვაო ტექსტს. პლასტიკა იბადება შინაგანი განწყობიდან გამომდინარე, ეს განწყობა კი მუდამ განსხვავებულია. მას ხან მუსიკა გკარნახობს, ხან ქორეოგრაფიული ჩანაფიქრი, ხან ქორეოგრაფის სათქმელი, ხან კი კონკრეტული მოცეკვავისაგან შთაგონებული პლასტიკა. ბეჟარის ადრეულ დადგმებში გამოკვეთილია სპექტაკლის წამყვანი სოლისტი და ამავე დროს მნიშნელოვნად გაძლიერებულია კორდებალეტის დატვირთვა. მის ქორეოგრაფიულ ენას და ენერგიას კი მივყავართ ცეკვის პირველყოფილ საწყისებამდე, როცა ცეკვის დროს ადამიანი თავის სულიერ მდგომარეობას გამოხატავდა.

ბორის ბეჟარმა ქორეოგრაფიაში ეპოქა შექმნა და მთლიანად შეცვალა ტრადიციული შეხედულება ცეკვის მიმართ.

მარიამ ალექსიძე

გვეხი, ხომელიც საქართველოს სიმდიდრედ იქცა

მანანა ქილიფთარი

წელს დიდი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის დაბადებიდან 150 წელი სრულდება. გასულ წელს კი აღინიშნა მისი შვილის, ასევე ცნობილი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 100 წელი. ბალანჩივაძეები ქუთაისთან ახლოს, სოფელ ბანოჯაში სახლობდნენ. მელიტონ ბალანჩივაძის მამა – ანტონი უაღრესად განათლებული ადამიანი, სასულიერო პირი ყოფილა. თავად მელიტონი კი, „ქართველ გლინკად“ წოდებული, პირველი ქართული ოპერის „დარეჯან ცბიერისა“ და ბევრი საინტერესო მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. ხელოვნების სამყაროში გამორჩეული ადგილი უკავია მის კიდევ ერთ შვილს – გენიალურ ქორეოგრაფს ჯორჯ ბალანჩინს. მხატვარი იყო მისი კიდევ ერთი შვილი – თამარი, რომელიც ძალიან ახალგაზრდა ასაკში ლენინგრადის ბლოკადამ იმსხვერპლა.

ბალანჩივაძეების ოჯახის თითქმის ყველა წევრი დღესაც ხელოვნების სამსახურშია. ცნობილი პიანისტია ანდრია ბალანჩივაძის შვილი – ჯარჯი, ხოლო ქალიშვილი – ცისკარი სამი ათეული წლის განმავლობაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ცეკვავდა. დიდი ბაბუის სახელს ატარებს ჯარჯის ვაჟი – ანტონი, რომლის ნახატები არაერთხელ გამოიფინა თბილისის გალერეებში და მნახველთა დიდი მოწონება ხვდა წილად (28 თებერვალს, პარიზის ცენტრში, პიკასოს მუზეუმთან მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო).

ჯორჯ და ანდრია ბალანჩივაძეები. თბილისი, 1972 წ.
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ჯარჯი და ცისკარა ბალანჩივაძეებმა, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის შვილებმა და ჯორჯ ბალანჩინის ძმისშვილებმა, საკუთარი ბიძა 1962 წლის შემოდგომაზე გაიცნეს, მაშინ როცა ბალანჩინი ოთხი ათეული წლის შემდეგ პირველად ჩამოვიდა რუსეთში და ცხოვრებაში პირველად საკუთარ სამშობლოს – საქართველოს ეწვია. მანამდე დიდი მაესტრო რაღაც გზებით მაინც ახერხებდა ოჯახთან მიმოწერას. ერთხელ ილიკო სუხიშვილის ხელით ანდრიას საათი გამოუგზავნა. ის, რომ იგი დიდი ქორეოგრაფი იყო, ოჯახისა და ახლობლებისათვის საბჭოთა კავშირში გამომავალი ჟურნალის – „ამერიკის“ საშუალებით გახდა ცნობილი. იქ დაიწერა წერილი ბალანჩინზე, როგორც ამერიკული ბალეტის შემქმნელზე.

უჩვეულოდ ბევრი ხალხი შეიკრიბა მოსკოვის აეროპორტში, სადაც ბალანჩინი საკუთარ დასთან – „ნიუ იორკ სითი ბალესთან“ ერთად ჩამოფრინდა. ძმები გულთბილად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ჯარჯი ბალანჩივაძე: იმ დროს მოსკოვის კონსერვატორიაში ვსწავლობდი. მამას გავყევი აეროპორტში, სადაც ზღვა ხალხი იყო შეკრებილი. როცა ბალანჩინი ტრაპზე გამოჩნდა, ოვაციებმა იქაურობა გააყრუა. ბალანჩინის დასის წევრები აღტაცებულნი ადევნებდნენ თვალს ძმების შეხვედრას. ეს იყო ვაჟკაცური, ჯენტლმენური შეხვედრა, მათ თვალებზე ცრემლიც კი არ მინახავს. მისალმების შემდეგ მანქანაში ერთად ჩავსხედით. ძმებს შორის პირველი საუბარი მაშინ შედგა. იგი იმ დროის გახსენებით დაიწყო, როცა ისინი ერთმანეთს დაშორ-

დნენ. ბიძაჩემი გვიყვებოდა, თუ რა დიდი სიძნელეები გადაიტანა ამერიკაში და განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა მამის – მელიტონ ბალანჩივაძის გარდაცვალების ამბავი შეიტყო: „როცა პრობლემები მქონდა და ძალიან მიჭირდა, თვალწინ მაშინვე მამის სახე დამიდგებოდა და ყველა გაჭირვება წამსვე მავიწყდებოდა“, – უთქვამს ბალანჩინს. მელიტონ ბალანჩივაძეს განგრენა დაემართა და ექიმებმა ფეხის მოკვეთა ურჩიეს. იგი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა და თქვა: „სიკვდილს ისე მოველი, როგორც ლამაზ ქალთან შეხვედრას!“ სასტუმრო „მოსკოვში“ მე ცნობილ პიანისტთან მარია იუდინასთან დაუვიწყარი შეხვედრის მომსწრე გავხდი, რომელიც სტრავინსკის უბადლო შემსრულებელი გახლდათ.

შემდეგ თბილისში ჩამოვიდა. ჩვენს სახლში უამრავი ადამიანი მოდიოდა. ყველას უნდოდა გაეცნო ქართველი გიორგი ბალანჩივაძე, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდარულ პიროვნებად იქცა.

ბალანჩინი ძალიან განსხვავდებოდა მამაჩემისაგან. მამა უფრო გახსნილი და გულღია იყო. ჯორჯი კი გაცილებით დისციპლინირებული, ისეთი, როგორიც ბალეტს სჭირდება.

ცისკარი ბალანჩივაძე: ოცდარვა წელი ვიცეკვე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასში. ბედნიერი ვიყავი, რომ ვიცეკვე მამაჩემის ბალეტებში „მთების გული“, „მწირი“.

ჩვენს სახლში მეფობდა მუსიკა. სხვანაირად წარმოუდგენელი იყო. არაჩვეულებრივი ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდი. პატარა ვიყავი, როცა გავიგე, რომ ამერიკაში ბიძა მყავდა. გასაგები მიზეზების გამო მიმოწერა არ ხერხდებოდა. პირველად ბიძაჩემი 1962 წელს ვნახე. საქართველოში მას განსაკუთრებული შეხვედრა მოუწყვეს. ოპერისა და ბალეტის თეატრს, სადაც მისი დასი გამოდიოდა, უამრავი ხალხი მოაწყდა. ხალხით იყო სავსე ჩვენი სახლის ყველა ოთახი ვაკეში. მე ჩემი ცეკვა ვაჩვენე და ვკითხე, შეეძლო თუ არა ჩემი დონის მოცეკვავეს მის დასში მუშაობა. გულდასმით მიცქირა და მითხრა, რომ ასეთ შემთხვევაში საცეკვაო სკოლის შეცვლა მომიხდებოდა. მოჭარბებულად ჰქონდა იუმორის გრძნობა. ვაჩვენე ერთ-ერთი ცოლის სურათი, რომელიც ერთი ჟურნალიდან ამოვჭერი და ალბომში მქონდა ჩაკრული. სათვალე მოიმარჯვა და მკითხა: – ხომ არ იცი, ეს ჩემი რომელი ცოლია?

დედაჩემმა მას საჩუქრად გადასცა ოქროს გულსაბნევი, რომელსაც თურმე ბებიაჩემი, მელიტონის მეუღლე და ჯორჯის დედა მარი ნიკალაევნა (ასე ვეძახდით), წარმოშობით გერმანელი ქალი ატარებდა. გულსაბნევის სამ ფრთაში სამი შვილის – თამარის, გიორგისა და ანდრიას ფოტოები იყო ჩასმული.

ბალანჩინს მამაჩემივით უყვარდა სასმელი, განსაკუთრებით ფრანგული კონიაკი. მეორედ იგი 1972 წელს ვნახე, როცა კვლავ ჩამოვიდა თბილისში. უფრო შეცვლილი და გულჩათხრობილი მეჩვენა. კანადაში გასტროლების დროს შევეცადე მასთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ მისი ნახვა ძალიან რთული იყო.

ბიძაჩემის გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვეთ, მამამ გადაწყვიტა მეც თან წავეყვანე, მაგრამ მისი წასვლაც კი ვერ მოხერხდა. წარმოიდგინეთ, რომ ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი ამერიკული მხარე აღმოჩნდა.

ბიძაჩემმა პეტერბურგის საბალეტო სკოლის უმდიდრეს ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნა საკუთარი სტილი, სკოლა. იგი დიდი ესთეტი იყო, მუსიკის უზადო მცოდნე. მისი ხელოვნებაც მუსიკისა და ცეკვის უზადო შერწყმაა. მის ბალეტებში ყველაფერი ზუსტადაა გათვლილი. დღეს მსოფლიოს მრავალ თეატრში იდგმება ბალანჩინის ბალეტები და ძალიან სასიხარულოა, რომ ნინო ანანიაშვილმა შეძლო ბალანჩინის ბალეტების დადგმა ჩვენს თეატრში. მაიმედებს ჩვენი საბალეტო დასის დღევანდელი მდგომარეობა“.

ჯორჯ ბალანჩინი და ცისკარი ბალანჩივაძე

ჯორჯ ბალანჩინი თბილისში. ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

კლასიკური ცეკვის ძირითადი პოზები:

Attitudes (ატიტუდი – პოზა, მდგომარეობა) – ამ ტერმინით აღინიშნება კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზა, დგომა ცალ ფეხზე, როცა მეორე ფეხი აწეულია 90 გრადუსით უკან მოხრილ მდგომარეობაში.

არსებობს ატიტუდის ორი სახე:

Attitude croise - Croise ნიშნავს გადაჯვარედინებას

Attitude efface - Efface – ამ პოზაში ფეხები **Croisee**-ს საწინააღმდეგოდაა გაშლილი

ამ ფოტოზე ლაშა ხოზაშვილი ატიტუდ კრუაზეს პოზიციაში დგას („ჟიზელი“)

Arabesque (არაბესკი – ორნამენტი, ჩუქურთმა) – კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი ძირითადი პოზა, როცა მოცეკვავე დგას ცალ ფეხზე, მეორე კი გაჭიმული აქვს და ადის ზევით არანაკლებ 90 გრადუსისა. განასხვავებენ არაბესკის ოთხ ძირითად ფორმას. მაგრამ მისი სახეები დაუსრულებლად მრავალგვარია.

ანა მურადელი არაბესკში („გედების ტბა“)

ნინო გოგუა (ჟიზელი) დგას არაბესკში დახრილი ტანით (ამ არაბესკს პანშეს ეძახიან).

ბრუნვა

ლალი კანდელაკი რეპეტიციაზე პირუეტი ან დედანის პოზიციაში

პირუეტი (Pirouette) – ეს არის ბრუნი ან ტრიალი. ის შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი სისწრაფით, თითის წვერებზე ან ნახევარწვერებზე. არსებობს ბრუნვის ორი მიმართულება:

En dehors
ამ ცნებით განისაზღვრება ბრუნვითი მოძრაობები, რომლებიც მიმართულია „გარეთ“. ან დეორის დროს ბრუნვა ხდება საყრდენი ფეხით მარცხნივ.

En dedans
ეს საწინააღმდეგო ცნებაა – ბრუნვა შიგნით. ამ შემთხვევაში კი ბრუნვა სრულდება საყრდენი ფეხით მარჯვნივ.

პირუეტის რამდენიმე სახე არსებობს, ყველაზე გავრცელებულია:
Pike (pique – ჩხვლეტა) pique en dedans – ბრუნი პირდაპირ თითის წვერზე.

Sene (chaine – ჯაჭვი) – ტრიალი ორ ფეხზე ჯაჭვურად მიყოლებით.

მკლავები

კლასიკურ ცეკვაში მკლავები, ფეხები და ტანი სპეციალური ვარჯიშებით ცალ-ცალკე ვითარდებიან. მოცეკვავის მხატვრულ გარეგნობას და ჰარმონიას მხოლოდ სწორად განვითარებული მკლავები ასრულებს.

Port de bras (ხელების ტარება) ბალერინას შეიძლება ჰქონდეს ლამაზი მკლავები, მაგრამ პორტ დე ბრას უცოდინრობა არ აძლევდეს მას მოძრაობის ლამაზად და თავისუფლად შესრულების საშუალებას. მკლავები მოსამზადებელი მოძრაობიდან დაწყებული ისე უნდა მომრგვალდეს, რომ იდაყვები შეუმჩნეველი იყოს. მხრები ჩაშვებული და უძრავი.



ჟესტები ბალეტში

ჟესტები და სახის გამომეტყველება ბალეტის მსახიობს ეხმარება სიუჟეტის გახსნისას:

სიყვარულის ფიცი – „მე გპირდები ყოველთვის მიყვარდე!“ – ეუბნება პრინცი ოდეტას (პრინცი – ირაკლი ბახტაძე. „გედების ტბა“)

„მე დანიშნული ვარ“– ეუბნება ჟიზელი ბატილდას
(ჟიზელი – ანა მურადელი, ბატილდა – მაია ალფაიძე. „ჟიზელი“)

Summary

Nino Ananiashvili Bids Farwell to the Nutcracker

On January 10 the Prima Ballerina performed for the last time in P. Chaikovsky's Nutcracker. She danced Marie's role last time. Ananiashvili's was partnered by Irakli Bakhtadze, the leading soloist of the corps de ballet. The performance ended with the spectacular firework.

Alexei Ratmanski: Ballet Needs a New Genius!

The interview with the Bolshoi Theater's Artistic Director was recorded during his visit to Tbilisi. Especially for Tbilisi Ballet Company the choreographer staged Georges Bizet's Chromatic Variations, a ballet miniature. This is a classic Pas de Six performed by three pairs of dancers among them Nino Ananiashvili. According to Ratmanski this is a ballet without a plot, since as Balanchine used to say when a lady and man dance this is already a story.

Your company is unique. At present many companies resemble each other and it is necessary to build a different image. It is glorious indeed that the Georgian ballet has famous artists and has remarkable traditions – said A. Tatmanski. It is a delight that Vakhtang Chabukiani used to perform here. This is the foundation on which any novelty can be built on.

Yuri Posohov's New Ballet Staged in Tbilisi

The famous modern choreographer Yuri Posohov staged the ballet entitled Sagaloberli (Canticle) in one act at Nino Ananiashvili's proposal. The musical score for the ballet consists of Georgian folk music and melodies of famous Georgian composers. The choreographer selected the music himself and is performed live by a Georgian music group Changi. As the choreographer says no Georgian movement can be observed in this ballet performance. This is a classical ballet on puantes. "I do not see these movements visually. I always have impulses. I set a ballet only to music. There are modern, smart choreographers in the world who do not set a ballet to music. For them music is a background and can set a ballet to any music". – says Yuri Posokhov. The premiere was successful. The choreographer is satisfied working with the ballet company.

Premieres of Ashton's ballets to be held in May



The ballet company will offer yet another premiere to the spectators. The preparation of Frederick Ashton's evening of choreography is under way. Marguerite and Armand, the ballet which was especially created for Margo Fonteyn and Rudolf Nureyev based on Liszt's Piano Sonata (based on A. Dumas's play La Dame Aux Camelias) is only in the repertoire of Royal Ballet in England. The management of Covent Garden permitted Nino Ananiashvili to stage the ballet. It will be the Prima Ballerina who will dance a leading role. Rehearsals commenced in January and were conducted by the ballet master Grant Coyle who arrived from England by a special invitation.

Apart from this ballet the program will include "Birthday Offering" in one act Pas de deux set to the music by Massenet, Strauss, and Offenbach.

The Balanchivadze's Musical Family



This year marks the 150th anniversary of Meliton Balanchiadze, a famous Georgian composer and the father of George Balanchine. All the Balanchivadze's family members are still engaged in the art. Jarji Balanchivadze is a pianist. He is a nephew of George and the son of the composer Andria Balanchine. His sister Tsiskari Balanchini used to dance for up to thirty years in the Tbilisi Ballet Company. Jarji's son Anton is a professional painter who will exhibit his works in Paris at the end of February. Jarji and Tsiskari Balanchivade met their uncle George Balanchine for the first time in 1962 when he arrived in his home country. In this letter they are reminiscing about those meetings.